

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №43**

19 მაისი 2023 წ.  
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

**კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე**

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჯოლიანი, არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

**მოწვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე  
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა  
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი -ირაკლი თავართქილაძე  
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი- ვახტანგ ლომჯარია

**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (საკრებულოს №12-032313081-03 10.05.2023)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვა. საკრ.№12-03231183-03 28/04/23

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.№11-01231222237 საკრ.№15-032312271-03 02/05/23; №11-01231373378 საკრ.№15-0323137114-03 17/05/23

4. ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ . საკრ.№12-0323137109-03 17/05/23

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკრ.№12-032312371-03 04/05/23

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრ.№12-032311891-03 01/05/23

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრ.№12-032311890-03 01/05/23

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე. საკრ.№12-032310963-03 19/04/23
9. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.საკრ.№12-032311857-03 28/04/23
10. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. საკრ.№12-032311722-03 27/04/23
11. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .“ საკრ.№12-032311722 27/04/23
12. ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. საკრ.№12032311722-03 27/04/23
13. ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. საკრ.№12-0323101184-03 20/04/23
14. ქალაქ თბილისში, რევაზ ლალიძის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001.01.628) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ “ საკრ.№12-0323101184-03 20/04/23
15. ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. საკრ.№12-0323101184-03 20/04/23
16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ.№12-0323101184-03 20/04/23
17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში არსებული 74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ.№12-032312432-03 04/05/23
- 18.„ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 92.13 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ.№12-032312432-03 04/05/23
19. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.საკრ.№12-032312439-03 04/05/23
20. ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-032312439-03 04/05/23
21. ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.საკრ.№12-032312439-03 04/05/23
22. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში მდებარე 100.79 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ.№12-0323101185-03 19/04/23

23. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში არსებული 65.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“  
საკრ.№12-032311720-03 27/04/23
24. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-0323137100-03 17/05/23
25. „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08“-ისთვის (ს/ნ: 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“საკრ.№12-032312148-03 01/05/23
26. ქ. თბილისში, ილია ქავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032312148-03 01/05/23
27. „ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ.№12-032311723-03 27/04/23
28. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ: 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ საკრ.№12-032312441-03 04/05/23
29. „ქ. თბილისში, შატერაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ: 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“  
საკრ.№12-032312148-03 01/05/23
30. „ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ: 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“საკრ.№12-032312448-03 01/05/23
31. ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica“-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე  
საკრ.№12-032311721-03 27/04/23
32. ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.18.03.064.079; 01.18.03.064.080; 01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოთოსთვის“ (ს/ნ: 405108226) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზესაკრ.№12-032313799-03 17/05/23
33. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“საკრ.№12-032312148-03 01/05/23
34. ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№120323137105-03 17/05/23

35. ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზესაკრ.№12-0323137105-03 17/05/23

36. ქ. თბილისში, გიორგი ბრწინვალეს ქუჩა N49-ში არსებული 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032313108-03 17/05/23

37. ქ. თბილისში, შატილის ქუჩა №4-ში მდებარე 45 870 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.12.03.005.008) უძრავი ქონებისა და ქ. თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე 8 804 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.12.03.005.009) მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზესაკრ.№12-0323137111-03 17/05/23

38. „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032313796-03 17/05/23

39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-032313796-03 17/05/23

40. ქალაქ თბილისში, სოფელი ღისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.58.011.006) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე  
საკრ.№12-032313776-03 17/05/23

41. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზესაკრ.№12-0323137112-03 17/05/23

42. „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „კაიძენ სპორტს“ (ს/ნ. 202365546) შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-0323137113-03 17/05/23

## **ღღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## **მომხსენებელი გაიოზ თალაკვაძე.**

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 150,0 ათასი ლარით (მათ შორის ჩინეთის საელჩოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ატენის ქ. N16-ში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და აფხაზეთის ქ.23-ში (წყნეთის ტყე-პარკის ტერიტორია) ორი ერთეული ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა - 130,0 ათასი ლარი, ხოლო ევროპის საბჭოსთან

გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის - „ინფორმაციის საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდას თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში“ განხორციელების მიზნით - 20,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარით, სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები - 22 764,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 26 614,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 5 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 341,4 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 400,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 4 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) - 1 330,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 1 570,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 4 365,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 20,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 176,0 ათასი ლარით, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 1 800,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) - 30,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 600,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 500,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) - 1 000,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 700,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 200,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 18,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) - 40,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება - 346,2 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 4 966,1 ათასი ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) - 30,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 18,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 5 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 30,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 90,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 30,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 500,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18)

მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მომუშავეთა რიცხოვნობა - 2 ერთეულით, ხოლო შემცირდა თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მომუშავეთა რიცხოვნობა 2 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4090 ერთეულით.

**მომხრე-7 თავი შეიკავა -ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ. ანა გოგოლაძე- წინააღმდეგი.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვა.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ, კომისიის წევრებს მიაწოდა **გაიოზ თალაკვაძემ**.

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 379,555.2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 318,054.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83.8%.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 365,650.2 ათასი ლარი, ფაქტიურად 292,825.2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 80.1% და მთლიანი - შემოსულობების 92.1% შეადგინა.

**გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 149,124.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (157,856.1 ათასი ლარი) 94.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 138,798.9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 10,325.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,267.7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) ჩამოწერილია (-238.2) ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 480.4 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,025.5 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 6,399.3 ათასი ლარი) შედარებით 5,131.6 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წლის 3 თვის ფაქტი - 4,352.8 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ქონების გადასახადის (გარდა მიწისა) სახით მიმდინარე წლის აპრილში ბიუჯეტში ჩაირიცხა 14,271.1 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 147,857.1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 132,399.5 ათასი ლარი) შედარებით 15,457.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**გრანტები** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 69,238.9 ათასი ლარი (სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები), კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 138.9 ათასი ლარი (გაღამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 68,900.0 ათასი ლარი

**სხვა შემოსავლები** საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 56,733.4 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 74,461.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 131.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 48,990.6 ათასი ლარი) შედარებით 25,470.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის. მათ შორის:

რენტის სახით მობილიზებულია 1,403.0 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 668.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 734.5 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 38,071.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (34,580.7 ათასი ლარი) 110.1%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 4,702.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,275.0 ათასი ლარი) 143.6%-ია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელიდან მიღებულია 7.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 140%-ია. (გადავადების მოსაკრებელი გადახდილია 37 წვევამდელის მიერ.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 15,233.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (15,000.0 ათასი ლარი) 101.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (12,114.6 ათასი ლარი) შედარებით 3,119.0 ათასი ლარით მეტია.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 18,059.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (16,250.0 ათასი ლარი) 111.1%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (15,356.4 ათასი ლარი) შედარებით 2,703.1 ათასი ლარით მეტია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 39.8 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელიდან მიღებულია 28.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (50.0 ათასი ლარი) 57%-ია.

მომსახურების გაწვიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 347.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (487.5 ათასი ლარი) 71.2%-ია. სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 28,849.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (17,000.0 ათასი ლარი) 169.7%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (14,786.4 ათასი ლარი) შედარებით 14,063.4 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 16,268.9 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 3,579.1 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 2,387.2 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 234.0 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 381.6 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 545.6 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 1,786.1 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 40.8 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 216.5 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 895.2 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 2,514.7 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,768.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,065.2 ათასი ლარი) 85.6%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 70.8 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 346.2 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 1,084.8 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 232.1 ათასი ლარი, სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 15.4 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 15.0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 4.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 25,130.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 5,343.7 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 4,838.7 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 505.0 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 17.5 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 19,769.1 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული 99.0 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება: საქართველოს ბანკიდან - 14.1 ათასი ლარი, თიბისი ბანკიდან - 37.1 ათასი ლარი, ბაზის ბანკიდან - 47.8 ათასი ლარი).

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.3 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდას).

საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 108,262.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (186,895.2 ათასი ლარი) 57.9%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 39,441.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (56,659.5 ათასი ლარი)

69.6%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 38,742.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (55,018.7 ათასი ლარი) 70.4%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 247.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (362.0 ათასი ლარი) 68.3%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 4,214.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,228.9 ათასი ლარი) 99.7%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 33,568.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (38,734.7 ათასი ლარი) 86.7%-ია;

განათლება - 58,170.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (68,643.6 ათასი ლარი) 84.7%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 7,903.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (25,967.8 ათასი ლარი) 30.4%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 854.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,182.2 ათასი ლარი) 39.2%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 37,098.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (50,845.1 ათასი ლარი) 73%-ია.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო წევრებმა ცნობად მიიღეს თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**კვარტალური ცვლილების შესახებ ისაუბრა ლევან მიქავამ.**

ლევან მიქავას მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მოთხოვნა კვარტალური ცვლილების შესახებ. კერძოდ:

მთაწმინდის რაიონული გამგეობის მოთხოვნით, „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში“ (პროგ/კოდი: 01 01 17) მეორე კვარტალს ემატება 100 000 ლარი, თანხა გადმოდის მესამე კვარტლიდან. „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/კოდი: 02 09 19) მეორე კვარტლიდან 728 000 ლარი გადადის მესამე კვარტალში.

ნაძალადევის რაიონში „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/\*კოდი 02 0911), მეორე კვარტალს ემატება 580 000 ლარი, მესამე კვარტლიდან. „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ/კოდი: 01 01 09) მეორე კვარტალს ემატება 200 000 ლარი, მესამე კვარტლიდან.

ისნის რაიონული გამგეობის მოთხოვნით „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 09 16) მეორე კვარტალს ემატება 460 000 ლარი, მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

აღნიშნული ცვლილებები გამომდინარეობს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე.



საბურთალოს რაიონის „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი: 08 11 06) - მეორე კვარტალში, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, მეორე კვარტალში ემატება 142 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, „სტუდენტთა დაფინანსების“ პროგრამას (პროგ/კოდი 07 05 03), მესამე კვარტალს ემატება 200 000 ლარი, ხოლო „სამეფო უბნის თეატრს“ (პროგ/კოდი 08 01 08), მეორე კვარტალში ემატება 20650 ლარი, სადადგმო ხარჯებისათვის.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ცვლილება ხდება მათთვის მიკუთვნილებული პროგრამების წლიურ გეგმაში:

იზრდება „ბიზნესის სტიმულირების“ (პროგ/კოდი 04 01) წლიური გეგმა 120 000 ლარით და მცირდება პროგრამა „თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში“ (პროგ/კოდი: 04 04) - 20 000 ლარით, ხოლო „ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეაბილიტაცია“ (პროგ/კოდი: 04 09 ) - 100 000 ლარით.

სამსახური წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ სისტემატიურად იმართება გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარი“ და შესაბამის პროგრამაში საკმარისი რესურსი არ არის, ხოლო სხვა პროგრამებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება რიგი ფაქტორების გამო ვერ ხერხდება და აქვთ თავისუფალი რესურსი.

#### **მომხრე- 8 თავი შეიკავა - ნინო წულაძე. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის, ისნის, ნაძალადევის და მთაწმინდის რაიონული გამგეობები, ასევე ეკონომიკური განვითარების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნილებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმავლესობით გადაწყვიტეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ .

#### **მომხსენებელი- ვახტანგ ლომჯარია**

ვახტანგ ლომჯარიას მოხსენებით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ არაუმეტეს 19550 ქართული ლარის ოდენობით თანხის გამოყოფა, რომელიც ემსახურება პროგრამის „ინფორმაციის, საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდა თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში“ განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას. ხელშეკრულება ძალაში შევა მეორე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. აქტივობის განხორციელების პერიოდი იწყება 2023 წლის 29 მაისს და დასრულდება 2023 წლის 15 სექტემბერს.

პროექტის პირველი ეტაპი ითვალისწინებს ორდღიანი საინფორმაციო სესიის მოწყობას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თბილისის მუნიციპალიტეტიდან და ეთნიკური უმცირესობებიდან. თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან ყველა ძირითად საჯარო პროგრამასა და სერვისზე, რომელიც ხელმისაწვდომია თბილისის მაცხოვრებლებისთვის.

პროექტის მიზანია მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება ეთნიკურ უმცირესობებს შორის, რათა უფრო მეტი ადამიანი ფლობდეს ინფორმაციას მუნიციპალური

სერვისების სრული პაკეტის შესახებ. საინფორმაციო სესიების ფარგლებში ინფორმაცია მოწოდებული იქნება მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების ფართო სპექტრის შესახებ, როგორცაა ჯანდაცვის პროგრამები, სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრის დაფინანსება, მკურნალობა და თერაპია, პრევენციული სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო რეცეპტები; სოციალური მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის საბინაო პროგრამები; მცირე ბიზნესისა და სტარტაპ დაფინანსების პროგრამები, მცირე გრანტების შეთავაზება ახალი ბიზნეს ინიციატივების განსახორციელებლად და განვითარებისთვის; საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ისინი, რომლებიც მიზნად ისახავენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსებას და პროფესიული სწავლების ხარჯების სრულად დაფარვას, კულტურული პროგრამები, რომლებიც აფინანსებენ ეთნიკური უმცირესობების კულტურული იდენტობის ხელშეწყობის პროექტებს და სხვა. აქცენტი გაკეთდება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შემოთავაზებულ დაფინანსების მრავალფეროვან პროგრამებზე.

**მომხრე-9, საბა ბუაძე კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს „ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ“ სალითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესები, მუნიციპალიტეტის საბინაო/სოციალური ვალდებულებების ეფექტურად შესრულების მიზნით, ითვალისწინებს საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებას. კერძოდ: საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემას ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდას, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ წინამდებარე ცვლილების მიზანია საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს მხოლოდ საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ საბინაო პოლიტიკა განხორციელებს მოქნილად და ეფექტურად, დროის მოკლე მონაკვეთში.

**მომხრე-7 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, საბა ბუაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს ემატება მუხლი 72, რომლითაც დგინდება სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მოძრავ ქონებაზე აუქციონის გამოცხადების წესი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციის შემოღება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად შექმნილი მოძრავი ქონების მართვის პროცედურის უფრო ეფექტურად შესრულებას და გაამარტივებს მუნიციპალიტეტის მხრიდან არსებული ქონების მართვა/განკარგვაზე მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ პრობლემურია სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად შექმნილი ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების მართვა და შესაბამის საწყობში განთავსება. მითითებული პროცედურა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის მხრიდან გარკვეული ხარჯების გაღებასა და მუნიციპალური რესურსების გამოყენებასთან. წინამდებარე ცვლილება მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას აღარ განათავსოს ზემოხსენებული მოძრავი ქონება საწყობში და მითითებული ცვლილებით განსაზღვრული წესით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულ ოპერატორთან ერთად, შეგროვებისთანავე მოახდენს მოძრავი ქონების შესაბამის ტრანსპორტირებას, რაც მუნიციპალიტეტს გაუთავისუფლებს საკმაოდ დიდ რესურსებს.

გარდა ამისა, აუქციონის გამოცხადების წინამდებარე წესი, გულისხმობს მითითებულ პროცედურაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობების ჩართულობას, რაც აღნიშნულ პროცესს გახდის მეტად ორგანიზებულს და მოხდება მითითებული მოძრავი ქონების მეტად ეფექტური განკარგვა. გარდა ამისა, აუქციონის სპეციალური წესის შემუშავება გაზრდის აღნიშნული მოძრავი ქონების რეალიზების შანსებს და მეტი ფინანსური სარგებლის მიღების პერსპექტივას მუნიციპალიტეტისთვის.

**მომხრე-7 თავი შეიკავა -ნინო წულაძე, საბა ბუაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულება, მათ შორის, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 900 (ცხრა ასი) აშშ დოლარს.“

**მომხრე-7 თავი შეიკავა -ნინო წულაძე, საბა ბუაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2021 წლის 26 მარტის NE-578-15-26111 ოქმისა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №578-15-26111 ხელშეკრულების თანახმად, თათია არაბულს (პ/ნ: 01013015849) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებული 326.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.19.19.003.112) შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფით“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, N01.19.19.003.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან (N01.19.19.003.230 და N01.19.19.003.250) გაერთიანების შედეგად, ფორმირებულია N01.19.19.003.254 საკადასტრო ერთეული და წარმოადგენს გოჩა ათანელიშვილის (პ/ნ: 40001006721) საკუთრებას.

ამასთან, სააგენტოს 2022 წლის 20 ივნისის NQN1901310 გადაწყვეტილების საფუძველზე, დადასტურდა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2021 წლის 26 მარტის №E-578-15-26111 ოქმითა და 2021 წლის 06 აპრილის №ე-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობის - „შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ შესრულება და მოიხსნა აღნიშნული შეზღუდვა ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა №79-ის მიმდებარედ არსებულ 326 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.19.19.003.112), ხოლო, მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფის პირობა - დარჩა უცვლელად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 28 სექტემბრის N005867320 დასკვნის თანახმად, N01.19.19.003.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 326 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2020 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს - 32 274 ლარს. ხოლო აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, შეძენილი ქონების (ს/კ N01.19.19.003.112) საბოლოო საპრივატიზებო საფასური შეადგენს 41576.00 ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, 2022 წლის 2 დეკემბერს გოჩა ათანელიშვილის (პ/ნ: 40001006721) მიხედვით პირმა ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ: 36001003531) განცხადებით მომართა სააგენტოს და ითხოვა, N01.19.19.003.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის (მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა) გაუქმება. იქიდან გამომდინარე, რომ ფასთა შორის სხვაობის თაობაზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა არ ფიქსირდება, შესაბამისად, მესაკუთრე სრულად გათავისუფლებულია თანხის გადახდის ვალდებულებისაგან.

ამასთან, სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის NQN1888737 გადაწყვეტილებით გაცემული დადებითი პოზიციის გათვალისწინებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 მაისის N882022316578-04 გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელდა N01.19.19.003.254 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილება იმგვარად, რომ N01.19.19.003.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, რაზედაც ვრცელდებოდა მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფის პირობა, მოექცა დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ფარგლებში, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, აღარ არსებობს წინამდებარე პირობის რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში

გამარჯვების დამადასტურებელი 2021 წლის 26 მარტის NE-578-15-26111 ოქმითა და 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა“.

**მომხრე-7 თავი შეიკავა -ნინო წულაძე, საბა ბუაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია მოქალაქე ნელი ბარაბაძის განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის 37-01221501323 და 37-01222501905 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მისი განცხადებით საკუთრებაში გადასაცემად მოთხოვნილი იყო ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მასივი 3, მეორე სართულზე არსებული 28.22 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.507), რომელიც წარმოადგენდა მოქალაქე ზურაბ პატიაშვილის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ფართს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების დანართი N1-ის მიხედვით N01.19.20.020.085.01.507 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართი გადაეცა მოქალაქე ნელი ბარაბაძესაც და ზურაბ პატიაშვილსაც. ვინაიდან მოქალაქე ნელი ბარაბაძის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართი წარმოადგენს N01.19.20.020.085.01.527 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართს, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით შემუშავდა შემოადინებული პროექტი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში, პირველ სართულზე არსებული 37.09 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ თანხად ლარად მოქალაქე ნელი ბარაბაძისთვის (პ/ნ 55001025173) საკუთრებაში გადაეცემას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N639 განკარგულებების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას ამავე განკარგულების დანართ N1-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფიზიკური პირის ნელი ბარაბაძის ნაწილში.

**მომხრე-7 თავი შეიკავა -ნინო წულაძე, საბა ბუაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის IV შესახვევი N2-ში, მეორე სართულზე არსებული 83.41 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ვახტანგ თამლიანს (პ/ნ 30001000223), რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად 2000 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით კი დგინდება, რომ ვახტანგ თამლიანი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2003 წლიდან.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე .“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 59.52 კვ.მ ფართის ბინა N2-ი (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზაქრო მჟავანაძეს (პ/ნ 01017044419) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზაქრო მჟავანაძე ოჯახთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) პირველ სართულზე არსებული 85.04 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თეონა ჯიქიას (პ/ნ 19001099443), რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს“** ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იაღნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ .

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იაღნოს ქუჩა N9, პირველ სართულზე არსებული 71.50 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარ ლობჯანიძეს (პ/ნ 12002001065) .

შსს-ს ცნობით დგინდება, რომ თამარი ლობჯანიძე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ თამარი ლობჯანიძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1998 წლიდან.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001.01.628) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2023 წლის 21 მარტის და 24 მარტის წერილები, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების

განხორციელებისთვის ამავე მისამართზე არსებული ბინა N560-ის ფართით 23.47 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.01.01.628) ამხანაგობა „ლაღიდის ქუჩა N2“-ისთვის საკუთრებაში გადაცემა.

მომხსენებლის განმარტებით, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის მიერ დაწყებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისთვის საჭირო იყო მითითებულ მისამართზე სრულად ყოფილიყო რეგისტრირებული ფართები. ვინაიდან, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცულ დოკუმენტაციაში აღნიშნული ფართი დაფიქსირებული იყო როგორც საცხოვრებელი ფართი, ამხანაგობამ ვერ შეძლო მისი დარეგისტრირება. აღნიშნული მიზეზების განხორციელებისთვის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N61-0122298757 წერილობითი მოთხოვნით განხორციელდა დაურეგისტრირებული ფართის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 04.10.2022წ. წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემა, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ლაღიდის ქუჩა N2“-ისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბმა „ლაღიდის ქუჩა N2“-ის თავმჯდომარის ხათუნა კილასონიას (პ/ნ 01017023039) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მითითებული უძრავი ქონება 90-იანი წლებიდან წარმოადგენდა საერთო სარგებლობის ფართს, რომელსაც იქ მცხოვრები მოსახლეობა რეაბილიტაციის პროცესის დაწყებამდე იყენებდა, როგორც საზოგადოებრივ ფართს.

ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიდის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისთვის და მოსახლეობასა და ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიზნების შესრულებისთვის შემუშავდა ზემოაღნიშნული პროექტი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიდის ქუჩა N2-ში, მე-3 სართულზე არსებული 23.47 კვ.მ ფართის ბინა N560-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001.01.628) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რევაზ ლაღიძე 2“-სათვის სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

#### **მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში, მეორე სართულზე არსებული 16.57 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა ნათია ანუაშვილს (პ/ნ 01019037750). მოქალაქე ნათია ანუაშვილს დიდუბის რაიონის გამგეობის 2018 წლის 4 სექტემბრის N32-0118247925 წერილით წარმოდგენილი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული 2021 წლის 25 მარტის N3-5908 საკუთრების მოწმობის საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში, N01.13.07.021.125.01.029 კოდით რეგისტრირებული 22.81 კვ.მ ფართი. სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული შიდა აზომვითი ნახაზებიდან დგინდება, რომ აღნიშნულ მოქალაქეს დაკავებული აქვს ორი ერთმანეთის მომიჯნავე 22.81 კვ.მ და 16.57 კვ.მ ფართები, თუმცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მოქალაქეს საკუთრებაში მოთხოვნილი ჰქონდა მხოლოდ 22.81 კვ.მ ფართი და 16.57 კვ.მ ფართზე მოთხოვნა გამორჩენილი იყო.

#### **მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე”.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ: ლალი ჭიკაძე (პ/ნ 36001034899) დაკავებული ფართი - 15.05 კვ.მ და 47.17 კვ.მ; ნაირა კერესელიძე (პ/ნ 01027028747) დაკავებული ფართი - 91.92 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 154.14 კვ.მ ფართი შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, დგინდება, რომ შემოადინებული პირები ოჯახებთან ერთად დაახლოებით 10 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნინო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში არსებული 74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3, სართული 2, ბინა N4-ში მდებარე 74 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე თენგიზი ლაცაბიძეს (პ/ნ: 01024032286). შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ მოქალაქე თენგიზი ლაცაბიძე (პ/ნ: 01024032286) დაახლოებით 30 წელია (1990 წლიდან) ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 92.13 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10, მე-2 სართულზე არსებული 92.13 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე მორის მათიაშვილს (პ/ნ: 36001006696), რომელიც შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში, პირველ სართულზე არსებული 20.52 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე სპარტაკ მათიაშვილს (პ/ნ 40001023004).



შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდა, რომ სპარტაკ მათიაშვილი 2009 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; გამგეობის წერილში და მოქალაქის განცხადებაში მითითებულ N01.19.24.007.403.15.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართს მიწის ნაკვეთის დაყოფის შემდგომ მიენიჭა N01.19.24.007.874.02.501 საკადასტრო კოდი.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე არსებული 56.99 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე მზია არაბულს (პ/ნ 36001001061), რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მზია არაბული დაახლოებით 13 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ 10 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 43.00 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე იოსებ ხეტეშვილს (პ/ნ 14001005707) .

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ იოსებ ხეტეშვილი 2008 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში მდებარე 100.79 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, სართული 1, შენობა N2-ში მდებარე 100.79 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, სართული 2-ზე მდებარე 49.73 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მზია ხონელიძეს (პ/ნ: 35001036998), ნიაზი გაფრინდაშვილს (პ/ნ: 59002006443), უშანგი გაფრინდაშვილს (პ/ნ: 59002002007); გვანცა გაფრინდაშვილს (პ/ნ: 50001001089) და მაია გაფრინდაშვილს (პ/ნ: 50001001090) თანასაკუთრებაში. მოქალაქე მზია ხონელიძე (პ/ნ: 35001036998) ოჯახთან ერთად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ( 1991 წლიდან) ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რასაც დასტურდება შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში არსებული 65.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61, სართული 1, ბინა N3-ში არსებული 65.87 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე შავლეგი მოდებაძეს (პ/ნ: 19001006920) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე შავლეგი მოდებაძე (პ/ნ: 19001006920) 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით ის ოჯახთან ერთად, 2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 3 პირს (3 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: სონია პერიხანიანი (პ/ნ 01032004418) დაკავებული ფართი - 16.24 კვ.მ; ლუსიკ სარქისიანი (პ/ნ 01032004294) დაკავებული ფართი - 13.89 კვ.მ და თეონა გვანცელაძე (პ/ნ 60001074787) დაკავებული ფართი - 16.05 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 46.18 კვ.მ ფართი შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ეს ოჯახები 1968-1981-2006 წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-8 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08“-ისთვის (ს/ნ: 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „კონუსი 08“-ს დირექტორმა, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა 18 ანტონ ფურცელაძის ქუჩა N22-ში, 1 სართულზე არსებული 88.90 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.001.01.590).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადებითი პოზიცია.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიუროს 2023 წლის 6 აპრილის N002280423 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, ბიუროს 2023 წლის 5 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 700 ლარით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „ანტრე 2008“-ს (ს/კ: 204549792) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ში მდებარე დავით ჭელიძის (პ/ნ: 01026004211) და ნელი ჭელიძის (პ/ნ: 01024061251) საკუთრებაში არსებულ 38 კვ.მ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი:01.14.10.001.050.01.501) 2029 წლის 20 სექტემბრამდე ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის მიხედვითაც თანხმობას აცხადებენ მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავენ, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიუროს 2023 წლის 3 აპრილის N002154823 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, ბიუროს 2023 წლის 30 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 200 ლარით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ.№12-032311723-03 27/04/23

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის (ს/ნ: 204874911) აღმასრულებელმა დირექტორმა, წერილებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული სპორტული ბაზის (ს/კ: 01.17.07.030.022) საქართველოს რაგბის კავშირისთვის საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. როგორც წერილშია აღნიშნული, რაგბის კავშირი აიღებს პასუხისმგებლობას, სპორტული ბაზის მოვლა-პატრონობაზე, ობიექტს შეუნარჩუნდება სპორტული პროფილი და გამოყენებულ იქნება კაცთა, მოზარდთა და ბავშვთა რაგბის განვითარებისთვის.

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით დადებითი პოზიცია გამოხატა სპორტული მოედნის საქართველოს რაგბის კავშირისთვის გადაცემის საკითხზე, სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობით.

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება, რაგბის მოედნის ფუნქციონირების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტით იყო გადაცემული ააიპ - ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრისთვის (ს/ნ 406138291). აღნიშნულ ორგანიზაციას, სააგენტოს მიერ წერილით ეთხოვა პოზიცია რაგბის კავშირის მიერ დასმულ საკითხზე. პასუხად ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა უზუფრუქტის შეწყვეტაზე და სპორტული ობიექტის საქართველოს რაგბის კავშირისთვის გადაცემაზე. პოზიციის გათვალისწინებით, შეწყდა უძრავ ქონებაზე აღნიშნულ ორგანიზაციასთან გაფორმებული უზუფრუქტი.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ: 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ის (ს/ნ: 405428194) დირექტორმა, ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ: 405428194) იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N26-ში არსებულ ფართებს (ს/კ: 01.10.15.011.002.01.501; 01.10.15.011.002.01.502), 2025 წლის 8 მარტამდე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია და სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსება იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2025 წლის 8 მარტამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 11520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის ოდენობით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ: 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-მა (ს/ნ: 205303795) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.059.100) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირებისთვის, შემდგომში N01.14.11.059.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღების მიზნით. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციით, თანხმობას აცხადებენ მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიუროს 2023 წლის 3 აპრილის N002162523 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, ბიუროს 2023 წლის 30 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ: 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** გიორგი ისაკაძემ (პ/ნ: 60003010441) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.038) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა,

ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფიზიკური პირის საკუთრებაშია ქ.თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N36-ში მდებარე N01.15.05.009.007.01.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, სამსახურის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, განისაზღვრა 1 920 (ათას ცხრაას ოცი) ლარით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica“-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „Organica“-ს (ს/ნ: 400056461) წარმომადგენელმა, ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ: ქ. თბილისში, ბამბის რიგი N120-ში არსებულ 183.44 კვ.მ. ფართს (ს/კ: 01.18.03.061.005.01.506), 2023 წლის 9 აგვისტომდე ვადით.

მოთხოვნილ 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 09.03.23წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2023 წლის 9 აგვისტომდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.18.03.064.079; 01.18.03.064.080; 01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოთოსთვის“ (ს/ნ: 405108226) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „სოთოს“ (ს/ნ: 405108226) წარმომადგენელმა, ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, სამღებროს ქუჩაზე სამ ლოკაციად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების (18 კვმ-მდე საერთო ფართობით) იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია, ქვეიჯარით ფლობს მიმდებარე შენობაში (საკადასტრო კოდი: 01.18.03.064.049) არსებულ 134 კვ.მ ფართს, 2024 წლის მარტის ჩათვლით.

მოთხოვნილ მიწის ნაკვეთებზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 23.03.23წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა სამღებროს ქუჩაზე სამ ლოკაციად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების იჯარით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოსაწყობად.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების შპს „სოთოსთვის“ იჯარით გადაცემას, 2024 წლის 1 აპრილამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის კონკურსში სს „თიბისი ბანკის“ (ს/კ: 204854595) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 30 მაისის N22.812.879 მთავრობის განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „თიბისი ბანკი“ (ს/კ: 204854595).

მომხსენებლის განმარტებით, პანდემიის პირობებში მოქმედი შეზღუდვებიდან გამომდინარე, სს „თიბისი ბანკს“ (ს/კ: 204854595) და ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2020 წლის 17 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთი ობიექტი, კერძოდ, ქ. თბილისში, ქ.შარტავას ქუჩა N7, 1 სართულზე არსებული 19.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 01.10.13.015.127) გამოთავისუფლებულ იქნა სს „თიბისი ბანკის“ სერვისცენტრის მიერ, ამავე ფართში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელთა განთავსების მიზნით. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით, საიჯარო ქირის დაკორექტირების მოთხოვნით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა სს „თიბისი ბანკის“ 2020 წლის 17 მარტის N762/106-12 წერილი, სადაც ასევე განმარტებული იყო, რომ ბანკის სერვისცენტრმა 2020 წლის 16 მარტიდან შეწყვიტა ფუნქციონირება.

ვინაიდან, მხარეებს შორის, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, შესაბამისად, მოიჯარეს ერიცხებოდა საიჯარო ქირის დავალიანება - 1188.90 ლარის ოდენობით (რომლის გადახდაც უზრუნველყო 2021 წლის 17 ნოემბერს), ასევე, მისი გადაუხდელობით დარიცხული პირგასამტეხლო - 2580 ლარის ოდენობით და წინა პერიოდებში, სარგებლობის ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად, ეტაპობრივად დარიცხული პირგასამტეხლო - 955 ლარის ოდენობით (პირგასამტეხლო ჯამში - 3535 ლარი).

იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარემ 2021 წლის 17 ნოემბერს უზრუნველყო გადაუხდელი საიჯარო ქირის (1188.90 ლარის ოდენობით) გადახდა, სააგენტო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს დარიცხულ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების ფაქტობრივი საფუძვლები.

გარდა ამისა (დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის ოდენობის გათვალისწინებით), ახალი საიჯარო პირობებით (20.1.) გათვალისწინებული იქნება მოიჯარის ვალდებულება - ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში გასწიოს 3535 (სამი ათას ხუთას ოცდათხუთმეტი) ლარის კაპიტალიზებადი ხარჯი შემდეგ უძრავ ქონებაზე: ქ. შარტავას ქუჩა N7, შენობა-ნაგებობა N1, სართული 1 (ს/კ N01.10.13.015.127), სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, იცვლება „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების ოდენობა, ამასთან, პირგასამტეხლოს პატიების საკითხთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული პროექტით სს „თიბისი ბანკის“ (ს/კ 204854595) ეკისრება ვალდებულება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში გასწიოს 3535 ლარის კაპიტალიზებადი ხარჯი უძრავ ქონებაზე: ქ. შარტავას ქუჩა N7, შენობა-ნაგებობა N1, სართული 1 (ს/კ N01.10.13.015.127), სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, რაც გულისხმობს ისეთ ხარჯებს, რომელიც უკავშირდება უძრავ ქონებას და განეულის ამ უძრავ ქონებაზე ან/და მისი განუყოფელი/შემადგენელი ნაწილისათვის;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 2021 წლის 22 ნოემბრის N21.1634.1718 ნომბრის განკარგულების საფუძველზე არ გამოცემულა საკრებულოს შესაბამისი განკარგულება საკითხის შეთანხმების თაობაზე და წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია გარკვეულ საკითხებზე ცვლილებები, ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2021 წლის 22 ნოემბერს გამოცემა N21.1634.1718 განკარგულება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1-ში განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, „სს „თბილისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, „საბანკო მომსახურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და სს „თი ბი სი“ ბანკს შორის 2022 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 51 120 (ორმოცდატერთმეტი ათას ასოცი) ლარი.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 04.11.2020წ. №20.1317.1623 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06.11.2020წ. №346 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №ბ61.012032252 ბრძანების შესაბამისად შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას“ (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.035.010), შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას“ (ს/კ: 200209844) მიერ ყოველწლიურად მიღებული მოგების სრულად რეინვესტირების პირობით ამავე ქონების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

უზუფრუქტუარმა 2022 წლის 21 ოქტომბრის, 2023 წლის 25 იანვრის წერილებით მიმართა სააგენტოს, წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №ბ61.01203252 ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა და ითხოვა შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) (ყოფილი შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურია (ს/ნ: 200209844) გადაცემული უსასყიდლო უზუფრუქტის უფლების ვადის გაგრძელება.

განკარგულების პროექტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება მოთხოვნილი ფართის შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ - 2 (ორი) წლით გადაცემის საკითხი.

**მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ვროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონის“ (ს/ნ: 405606143) დირექტორმა, განცხადებით მოითხოვა, ქალაქ თბილისში, ვეროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, დავით სარაჯიშვილის სახელობის მსუბუქი კონსტრუქციის საგამოფენო პავილიონის განთავსების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, რის შემდგომაც შესაძლებელი გახდება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ: 405606143) აღნიშნული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის მიზნით.

#### **მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N49-ში არსებული 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის (ს/ნ: 204874911) პრეზიდენტმა მომართა ქალაქ თბილისის მერს, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.021) საქართველოს რაგბის კავშირისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობს რაგბის კლუბების ვარჯიშები, იმართება კავშირის მიერ ორგანიზებული ბავშვთა ფესტივალები და ოფიციალური კალენდარული თამაშები. ამავე დროს, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ არსებული მდგომარეობით სპორტული ინფასტრუქტურა მოუწესრიგებელია, შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება და მისი გადაცემის შემთხვევაში, ტერიტორიაზე მოეწყობა გამართული სარაგბო ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც სავარჯიშოდ, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების ჩასატარებლად.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მერიაში 2022 წელს წარმოდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილები, რომლის მიხედვით, ზემოაღნიშნულმა სახელმწიფო ორგანოებმა, უძრავი ქონების მიმართ გადაწყვეტილებების მიღებისას, მიზანშეწონილად მიიჩნიეს გათვალისწინებულ იქნეს ა(ა)იპ საქართველოს ველოსპორტის ეროვნული ფედერაციის ინტერესები, რომელიც ასევე სარგებლობს ამ ობიექტით. აღნიშნული პოზიციების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N49-ში მდებარე უძრავი ქონების ტერიტორია (ს/კ: 01.10.06.001.021) დაიყო ორ ნაწილად. რაგბის კავშირისთვის გადასაცემად მოაზრებული 19226 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ცალკე საკადასტრო ერთულად (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.299), რომელიც შემდგომ სახელმწიფოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა, თბილისის მერის წერილობითი თხოვნის შესაბამისად. საქართველოს რაგბის კავშირი ითხოვს 01.10.06.001.299 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების, 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.06.001.299) სიმბოლურ ფასად, 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას.

#### **მომხრე-9 თავი შეიკავა - ნონო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**



**მოისმინეს:** ქ. თბილისში, შატილის ქუჩა №4-ში მდებარე 45 870 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.12.03.005.008) უძრავი ქონებისა და ქ. თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე 8 804 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.12.03.005.009) მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „სპორტულ კლუბ დუჩის“ (ს/კ: 206267449) შორის 2008 წლის 21 იანვარს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე 45 870 კვ.მ. (ს/კ: 01.12.03.05.008) და 8 804 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთები (ს/კ: 01.12.03.005.009), ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით. საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა ჯამში 100 001 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველმა იკისრა რიგი საპრივატიზებო ვალდებულებები, მათ შორის:

„საპრივატიზებო ობიექტზე 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების გზით მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის აშენება და აღჭურვა №1 დანართის შესაბამისად (საინვესტიციო ვალდებულებები), 2010 წლის 1 სექტემბრამდე და განსაზღვრული სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 (ათი) წლის განმავლობაში (დამატებითი ვალდებულებები) (ამასთან, №1 დანართში მითითებული უნივერსალური ორთაბრძოლების დარბაზის უსასყიდლოდ სარგებლობა უნივერსალური ორთაბრძოლების ფედერაციის მიერ, საპრივატიზებო ობიექტზე მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის ექსპლუატაციაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში)“ - (პუნქტი 4.1.1)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ შესრულებულია საპრივატიზებო ობიექტზე შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების გზით მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის აშენებისა და ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად აღჭურვის ვალდებულებები. თუმცა, მის მიერ დაირღვა ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სპორტული პროფილის 10 წლის განმავლობაში შენარჩუნების ვალდებულება, რის საფუძველზეც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 04 მარტის №20.259.312 განკარგულებით ხელშეკრულება შეწყდა და საპრივატიზებო ობიექტი დაბრუნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, შატილის ქუჩა №4-ში მდებარე №01.12.03.005.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში უნივერსიტეტის (ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) ფუნქციონირება. ამავე ქონებაზე დღეის მდგომარეობით კვლავ ფუნქციონირებს აღნიშნული უნივერსიტეტი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ გასაჩივრებულია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 04 მარტის №20.259.312 განკარგულების და ასევე, უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ მყიდველის მიერ შეტანილი სარჩელების საფუძველზე, მიმდინარეობს შესაბამისი სასარჩელო წარმოებები.

2023 წლის 10 აპრილს განცხადებით სააგენტოს მომართა მყიდველმა და განაცხადა მზაობა სადავო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრის თაობაზე. მყიდველი აცხადებს თანხმობას ქონების მის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ქონებაზე მოაწყოს სპორტული ობიექტი, რაც მოიცავს შემდეგ სპორტულ ინფრასტრუქტურას: ადმინისტრაციული შენობა, სპორტული დარბაზი ზომით არანაკლებ 12 მ. × 18 მ., ღია საფეხბურთო მოედანი ზომით არანაკლებ 68 მ. × 100 მ., ხელოვნურსაფარიანი ღია საფეხბურთო მოედანი ზომით არანაკლებ 30 მ. × 20 მ. აღნიშნული სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, მყიდველი განახორციელებს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციას. კომპანია ასევე აცხადებს მზაობას, გამოიყენოს ქონება მხოლოდ სპორტულ-საგანმანათლებლო-

სამედიცინო მიზნით/ფუნქციით. ამასთან, ხელოვნურსაფარიანი ღია საფეხბურთო მოედნის (ზომით არანაკლებ 30 მ. × 20 მ.) ფუნქციონირება განხორციელდება საზოგადოებრივი დანიშნულებით, უსასყიდლოდ.

შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მყიდველი აცხადებს თანხმობას ხელშეკრულების შეწყვეტისა და უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების კანონიერებასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის ფარგლებში, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნებზე (საქმე №3/1948-20 და საქმე №3/7001-20). მყიდველი ასევე აცხადებს თანხმობას, უარი თქვას ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ და მისგან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და მისი ორგანოების მიმართ შესაძლოდ არსებულ ნებისმიერ სხვა მოთხოვნაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე სხვა საქმეზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დევილაქს“ (ს/კ: 205063982) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (საქმე №3/2306-20) გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა შპს „დევილაქს“ (ს/კ: 205063982) მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე იგივე პოზიცია გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (საქმე №3ბ/311-22) მიერ.

**მომხრე-8 თავი შეიკავა -წინო წულაძე.წინააღმდეგი- საბა ბუაძე.  
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავარტილაძის მოხსენებით,** „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259 დადგენილებით, დაკმაყოფილდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თხოვნა და ქ. თბილისში, ოქროყანაში, კოჯრისკენ მიმავალ გზასა და სანტექნიკის ყოფილ მაღაზიას შორის, ტაძრის ასაშენებლად, გამოეყო 12 236 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2023 წლის 11 მაისს წარდგენილ იქნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის N10/01231311791-61 განცხადება, რომლითაც მოითხოვეს დადგენილებით გათვალისწინებული პირობის - „ტაძრის მშენებლობისათვის“ გაუქმება გადაცემული მიწის ნაკვეთის ნაწილზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, განცხადების თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს სურს 6052 კვ.მ ფართობის N01.15.07.017.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაცვალოს მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარე კერძო პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ: N72.07.04.751), რომელიც მდებარეობს სამთავროს მონასტრის მიმდებარედ და წარმოადგენს ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ადგილს. ამასთან, მიწის ნაკვეთების გაცვლის შემაფრხველ გარემოებას წარმოადგენს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაძრის აშენების ვალდებულება. გარდა ამისა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წერილში აღნიშნავს, რომ ტაძრის მშენებლობას გეგმავს 1999 წელს გადაცემული მიწის ნაკვეთის დანარჩენ ნაწილზე - N01.15.07.017.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“

ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის - „ტაძრის მშენებლობისათვის“- გაუქმებას.

#### **მომხრე-10**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება“. ხელშეკრულების 1.2 ქვეპუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.14.16.008.031) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1, N2 და N3 (მიწისქვეშა ნაგებობა), ხოლო ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტის თანახმად, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა - პრივატიზებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე არანაკლები ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის და არანაკლები ერთი მინი-საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით: - განათება, გასახდელი, ტრიბუნა) და ექსპლუატაციაში მიღება 2022 წლის 1 იანვრამდე.

მომხსენებლის განმარტებით, ხელშეკრულების მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულია ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია 100 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დარიცხვაც გრძელდება ამ საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე. ქონების შემძენმა 2022 წელს განცხადებებით მომართა სააგენტოს, წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, პრივატიზირებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე, მითითებული განცხადებების წარმოდგენის დროისათვის, უკვე იყო მოწყობილი ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნი და ერთი მინი-საფეხბურთო მოედანი შესაბამისი ინფრასტრუქტურით (განათება, გასახდელი, ტრიბუნა), თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად აშენებულ და შეთანხმებულ პროექტს შორის დაფიქსირდა გარკვეული ცდომილება, რისთვისაც საჭირო გახდა შეთანხმებული პროექტის კორექტირება, რამაც ასევე შეაფერხა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი, ითხოვა ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის 2022 წლის 30 დეკემბრამდე გადავადება და აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო ხელშეკრულების მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქონების შემძენს ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტის თანახმად 2022 წლის 2 იანვრიდან - 2023 წლის 22 მარტამდე პერიოდზე (ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე) ეკისრება პირგასამტეხლო - ჯამში 44 400 ლარის ოდენობით. ვინაიდან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 18 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, N102 საჯარო

სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.16.008.031) უზრუნველყოფილია ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის და ერთი მინი-საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით: - განათება, გასახდელი, ტრიბუნა), რომელიც მიღებულია ექსპლუატაციაში 2023 წლის 22 მარტს, რასაც ასევე ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 22 მარტის №10/01230763498-17 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისში, ნუგზიძის IV მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ (ს/კ N01.14.16.008.031) მდებარე მშენებლობადასრულებული ობიექტი (საფეხბურთო სკოლის დამხმარე-ტექნიკური შენობები - II კლასი), შესაბამისად, დასტურდება ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება. აღნიშნული ვალდებულების შესრულება, წინამდებარე პროექტის მოწონების შემდგომ, ხელშეკრულების 5.13 ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ დადასტურდება ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლება, 2022 წლის 2 იანვრიდან - 2023 წლის 22 მარტამდე პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

**მომხრე-9 თავი შეიკავა-ნინო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

40. ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.58.011.006) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** 2022 წლის 10 და 11 ნოემბერს მოქალაქე შალვა ქვრივიშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, მერაბ ალექსიძის I შესახვევი №5-ში, მის საკუთრებაში არსებული 279 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი № 01.10.13.040.031), მერაბ ალექსიძის I შესახვევი №7-ში არსებული 485კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი № 01.10.13.040.090), ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებული 1000 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი № 01.20.01.010.187) და ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, II მიკრორაიონის კვარტალი II №149 სკოლის მიმდებარედ არსებული 716 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი № 01.12.02.025.014) ადგილმონაცვლეობა. მოქალაქის საკუთრებაში არსებულ № 01.12.02.025.014 საკ/კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2019 წლამდე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6), № 01.20.01.010.187-ზე საკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო № 01.10.13.040.031 და №01.10.13.040.090 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). შემდგომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების შესაბამისად № 01.20.01.010.187 საკ/კოდზე გავრცელდა სატყეო ზონა, № 01.10.13.040.031, № 01.10.13.040.090 და № 01.12.02.025.014 საკ/კოდებზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით 2017 წელს № 01.12.02.025.014 საკადასტრო ერთეულზე შეთახმებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი და განსაზღვრულია სამშენებლო კოეფიციენტები კ1-0,5 კ2—2,5 და კ3- 0,3, ასევე აღნიშნავენ, რომ № 01.10.13.040.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე არეალი შეუსაბამოა სამშენებლო განვითარებისთვის, ვინაიდან მიწის ნაკვეთებს გააჩნიათ რთული კონფიგურაცია. მაღალქანობიანი, ისტორიულად ჩამოყალიბებული რელიეფი წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ ტერიტორიას, რომელიც არასდროს ყოფილა განაშენიანებული და მრავალწლიანი ხე-ნარგავებით გამშენებულ ფერდობს. შალვა ქვრივიშვილისთვის შეთავაზებული იქნა ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4900 კვმ მიწის

ნაკვეთი(საკ/კოდი №01.72.58.011.006), მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის სანაცვლოდ.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, სააგენტოში წარმოდგენილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი, რომლის შესაბამისად სამსახური თანახმაა განხორციელებდეს მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია საკადასტრო კოდი: N01.72.58.011.006 -ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვა გაცვლის ფორმით და სანაცვლოდ მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შალვა ქვრივიშვილი თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობაზე და ვინაიდან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი N01.72.58.011.006) საბაზრო ღირებულება 89 296 ლარით აღემატება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამურ საბაზრო ღირებულებას, მზადყოფნას გამოთქვამს განხორციელოს საპრივატიზებო საფასურის 90 000 ლარის გადახდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

**საკითხთანდაკავშირებით შეკითხვები ჰქონდათ ანა გოგოლაძეს და საბა ბუაძეს.**

**ანა გოგოლაძის კითხვით,** რატომ ხდება რომ, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ახალი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“, თბილისში აღმოჩნდა უამრავი ისეთი ადამიანი, რომელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაედო სატყეო ან სარეკრეაციო ზონა, რითიც შეუზღუდათ მშენებლობის ნებართვა და შესაბამისად, შემცირდა მათი მიწის ნორმატიული ფასი. დეველოპერი შალვა ქვრივიშვილი, რომელიც ფლობს ორ სამშენებლო კომპანიას, გასული წლის ოქტომბერში, დაახლოებით ერთი კვირის ვადაში, თბილისში ყიდულობს ისეთ ტერიტორიებს, რომლებსაც ახალმა გენ.გეგმამ საცხოვრებელი ზონის სტატუსი შეუცვალა სატყეო ზონით, რაც ნიშნავს იმას, რომ შალვა ქვრივიშვილი კერძო მესაკუთრეებისგან მიწის ნაკვეთებს ყიდულობს იმაზე იაფად, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საბაზრო ფასი. ოთხივე მიწის ნაკვეთის გაფორმებიდან ზუსტად ერთ კვირაში, დეველოპერი მიმართავს ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვს მონაცვლეობას ანუ იხდის ნაკლებს სატყეო ზონაში და ითხოვს ლისის ტბაზე მდებარე „სარფიან“ მიწაში მონაცვლეობას, რომელსაც ადევს ძალიან დიდი ფასი და მოთხოვნადია დეველოპერებში. შესაბამისად, აქვე იკვეთება ამ დეველოპერის განზრახვა, რომ იგი მიზანმიმართულად ყიდულობდა ამ მიწებს. ამის შემდეგ, ქონების მართვის სააგენტო, შალვა ქვრივიშვილის მიერ განცხადების დარეგისტრირებიდან რამდენიმე საათში, მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და ითხოვს მიწის ნაკვეთების შეფასებას არა როგორც სატყეო ზონა ანუ როგორც შალვა ქვრივიშვილმა იყიდა, არამედ, როგორც საცხოვრებელი ზონა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შალვა ქვრივიშვილს ბიზნესში ჰყავს მეწილე გიორგი ხუციშვილი, რომელიც „ქართული ოცნების“ შემომწირველია და მართალია, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების თქმით, პარტიას ბევრი ადამიანი სწირავს ფულს, მაგრამ 100000 ლარს ბევრი არ სწირავს და არც შემოწირულობას აკეთებს მას შემდეგ, რაც განაცხადს გააკეთებს მერიამ, ხოლო ხსენებული პიროვნება 30000 ლარს სწირავს პარტიას მანამ, სანამ მერი მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ შემოწირულობიდან ძალიან მალე, გარემოს დაცვის და ურბანული განვითარების სამსახურები ხელს აწერენ გადაწყვეტილებას და ამავდროულად, მერიც იღებს გადაწყვეტილებას ქონების მონაცვლეობის თაობაზე და ორჯერ უფრო დიდ და ძვირადღირებულ მიწაში უცვლის შალვა ქვრივიშვილს მიწებს. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა და მსგავსი მიდგომები იქცა ტენდენციად, რაც არის იმის ლუსტრაცია, რომ თბილისის მერიამ გადაწყვეტილების მიღება ხდება „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული დეველოპერების სასარგებლოდ, რითიც, საბოლოო ჯამში, ვიღებთ ურბანულ გენოციდს და ამ პროცესში დაკარგულია მოქალაქეების ინტერესები. განაცხადა, რომ როგორც არ უნდა სამართლებრივად დაივარცხნოს ეს თემა და მურუსიძის და ჩინჩალაძის გადაწყვეტილებებით სამართლებრივად აბსოლუტურად გამართული იყოს, სამართლიანი ვერ იქნება.

**საბა ბუაძემ** დაეთანხმა ანა გოგოლაძეს აღნიშნა, რომ მასაც ანალოგიური შეკითხვები აქვს საკითხთან დაკავშირებით. აქ დასახელებული თითოეული გარემოება შეიცავს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს და

ისურვებდა, რომ მსგავს კორუფციულ საქმეებს საკრებულო კენჭს არ უყრიდეს მაშინ, როდესაც დედაქალაქში ამდენი პრობლემაა.

**საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ მიმართეს კომისიის წევრებს, რომ არ მიიღონ გადაწყვეტილება და საკითხის განხილვა გადაიდოს მინიმუმ ერთი თვით.**

**მათ შეკითხვებზე განმარტეს ირაკლი თავართქილაძემ, ირაკლი ხელაძემ და გიორგი ტყემალაძემ.**

მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები ასრულებს მნიშვნელოვან სარეკრეაციო და ნიადაგის დამჭერ ფუნქციას და მითითებული არეალის ხელშეუხებლად შენარჩუნება მნიშვნელოვანია ქალაქის ამ ნაწილისათვის, რომელიც თავისი მწვანე მასით აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას და ამ არეალის ჯერ კიდევ შენარჩუნებული მიკროკლიმატური მახასიათებლები წარმოადგენს აკადემიქალაქის ამ მონაკვეთის ღირსშესანიშნაობას და მისი შენარჩუნება დადებითად აისახება მთელი არეალის იერსახეზე.

ასევე აღინიშნა, რომ ქალაქის განვითარების პროცესში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების და „მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა. ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არის სამართლებრივად გამართული. თემის გადადება არაფერს შეცვლის, ოპოზიცია ის იმ აზრზე იქნება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

**მომხრე-7 წინააღმდეგი-ანა გოგოლაძე, ნინო წულაძე, საბა ბუაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე: ფ/პ კახაბერ ჩიბიროვ (პასპორტის №75 1945544, რუსეთი) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), რომლის საფუძველზეც შპს „სასკოს“ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:

- ქ. თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა №181-ში მდებარე №01.19.35.007.103 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3534 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (თავდაპირველი კოდი: 01.19.35.007.008);
- ქ. თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა №181-ში მდებარე №01.19.35.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 980 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (თავდაპირველი კოდი: 01.19.35.007.008);
- ქ. თბილისში, გაბრიელ სალოსის გამზირი №185-ში მდებარე №01.19.35.007.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (თავდაპირველი კოდი: 01.19.35.007.036)
- ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №185-185ა-ში მდებარე №01.19.35.007.113 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3670 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (თავდაპირველი კოდი: 01.19.35.007.036 და 01.19.35.007.007);
- ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №57-ში მდებარე №01.13.03.010.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3222 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, ქ. თბილისში, ბ. ხმელინცკის ქუჩა №181-ში მდებარე საპრივატიზებო სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა და მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 (ათი) წლის განმავლობაში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №08.39.419 განკარგულებით დადასტურდა შპს

„სასკოს“ მიერ სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია/აღჭურვის ვალდებულების შესრულება და №01.13.03.010.064 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება.

2020 წლის 10 აპრილს, მხარეთა (ხელშეკრულების იმდროინდელი მხარე: შპს „ფიტნეს 31“, ს/კ: 404477464) შორის შედგა შეთანხმება, ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და დამატებითი შეთანხმებით მყიდველმა იკისრა ვალდებულება, განხორციელებინა დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია, აღნიშნული შეთანხმების დადებიდან 2 წლის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით. ამასთან, მყიდველმა იკისრა ვალდებულება, გამყიდველისთვის ეცნობებინა და მასთან შეთანხმებინა ინვესტიციის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები (რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას/განვითარებას და აღჭურვას), მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება და შესრულების ვადები (გეგმა-გრაფიკი).

დამატებითი შეთანხმების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობა, ნაცვლად 10 წლისა, განისაზღვრება მუდმივი ვალდებულებით (განუსაზღვრელი ვადით) შემდეგ საპრივატიზებო ობიექტებზე:

1. ქალაქ თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, №181-ში (ნაკვ. 07/008) 3534 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N1 და N2, საერთო ფართობით 1840 კვ.მ. (ს/კ: 01.19.35.007.103);
2. ქალაქ თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, №181-ში (ნაკვ. 07/008) 980 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ (ს/კ: 01.19.35.007.104);
3. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №185-ში 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.19.35.007.109).

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული №01.19.35.007.113 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (წარმოიშვა №01.19.35.007.036 და №01.19.35.007.007 საკადასტრო კოდების გამიჯვნა-გაერთიანების შედეგად) გათავისუფლდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობისგან და გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის №21.1419.1599 განკარგულებით მყიდველს დაუდასტურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით, დამატებით 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე დამატებითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, შესასრულებელი დარჩა №01.19.35.007.103, №01.19.35.007.104 და №01.19.35.007.109 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების მუდმივი საპრივატიზებო პირობა - სპორტული ობიექტის მუდმივად ფუნქციონირების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ 2023 წელს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მომართა , №01.19.35.007.103, №01.19.35.007.104 და №01.19.35.007.109 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების ამჟამინდელი მესაკუთრის, ფ/პ კახაბერ ჩიბიროვის, წარმომადგენელმა - ფ/პ ერეკლე ჩიბირაშვილმა (პ/ნ 01011025947) და მოითხოვა ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ცვლილება. მყიდველი ითხოვს მიწის ნაკვეთების ნაწილზე, 2020 წლის 10 აპრილის დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შეზღუდვის (სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება) მოხსნას იმ პირობით, რომ: მესაკუთრე გადაიხდის მიწის ნაკვეთების შეზღუდვის გარეშე და შეზღუდვის გათვალისწინებით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას;

მიწის ნაკვეთებზე მყიდველი მოაწყობს ახალ სპორტულ ობიექტს (ზომით არსებულზე 50%-ით დიდს), რომელზეც მოაწყობს და შეინარჩუნებს შემდეგ სპორტულ ინფრასტრუქტურას მესაკუთრე, ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის განახორციელებს 2 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციას;

ახალი სპორტულ კომპლექსის შესაბამისი ფართები გამოყენებული იქნება მხოლოდ სპორტული მიზნით/ფუნქციით; ცვლილების შედეგად, მესაკუთრეს მიეცემა მიწის ნაკვეთებზე სპორტულთან ერთად საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესაძლებლობა;

ახალი სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულებამდე მყიდველი უფლებამოსილი იქნება ვალდებულებების გარეშე გაასხვისოს საცხოვრებელი კომპლექსის ფართების 50%;

სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულების შემდგომ, სპორტული ობიექტის შესაბამის ფართ(ებ)ის გარდა, ქონების სხვა ნაწილი თავისუფლდება საპრივატიზებო პირობებისგან.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის დასკვნების შესაბამისად, საპრივატიზებო პირობებით გათვალისწინებული შეზღუდვითა და შეზღუდვის გარეშე №01.19.35.007.103, №01.19.35.007.104 და №01.19.35.007.109 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების ღირებულებებს შორის სხვაობა შეადგენს 1 098 330 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სპორტული ობიექტის შესაბამის ფართებზე რეგისტრირებული დარჩება მუდმივი საპრივატიზებო ვალდებულება/შეზღუდვა, ფასთა შორის სხვაობა დათვლილია ვალდებულების/შეზღუდვის ქონების მთელს ფართობზე გაუქმების შემთხვევაში არსებული ოდენობით. ამასთან, აღნიშნულ დასკვნებში ფასები მითითებულია როგორც დოლარში, ისე მის ეკვივალენტ ლარში. მყიდველის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობის დათვლისას გამოყენებულია დასკვნაში მითითებულ ლარის ოდენობებს შორის სხვაობა, რადგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის მომზადების პერიოდისათვის, ამ პრინციპით დაანგარიშება იძლევა ლარში ყველაზე დიდ ოდენობას.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მყიდველი იხდის მთელი ქონების საპრივატიზებო ვალდებულებისგან თავისუფალ მდგომარეობაში საბაზრო ღირებულების მიხედვით დაანგარიშებულ ფასთა შორის სხვაობას, ქონებაზე მოეწყობა არსებულზე უფრო დიდი ახალი სპორტული ობიექტი, რომლის ფართ(ებ)ზეც გავრცელდება მხოლოდ სპორტული მიზნით/ფუნქციით გამოყენების მუდმივი საპრივატიზებო პირობა.

#### **მომხრე-9 თავი შეიკავა -ნინო წულაძე.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „კაიძენ სპორტს“ (ს/ნ. 202365546) შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „კაიძენ სპორტს“ (ს/კ: 202365546მ შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, მყიდველს სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:

ქ. თბილისში, ნაკადულის ქ. III გასასვლელში (ზეემკა) მდებარე 3782 კვმ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ფართობით 367,54 კვმ. (ს/კ: 01.19.33.007.035) და ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №4ა-ში მდებარე 2260 კვმ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1, №2-საერთო სასარგებლო ფართობით 56,52 კვმ. (ს/კ: 01.18.05.001.037).

ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

1. „ქ. თბილისში, ნაკადულის ქ. III გასასვლელში (ზეემკა) მდებარე ობიექტზე (მიწის საკადასტრო კოდი: №01.19.33.007.035) კონკრეტული სპორტის სახეობათა ფედერაციის სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და შენარჩუნება: ხელოვნურსაფარიანი ღია კომბინირებული



მოედანი, ზომით 15×30; კრივის დარბაზი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პარამეტრებით; ერთტალამიანი (ზომა 12×12) ძიუდოს დარბაზი ზომით 12×14; ტრენაჟორის დარბაზი (15 ტრენაჟორი); ადმინისტრაციული შენობა;“ - პუნქტი 4.3

2. „ქ. თბილისში, ნაკადულის ქ. III გასასვლელში (ზეემკა) მდებარე ტერიტორიაზე (მიწის საკადასტრო კოდი: №01.19.33.007.035) გათვალისწინებული სპორტული ობიექტისთვის სპორტული პროფილის შენარჩუნება ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის განმავლობაში და სახელმწიფოს მიერ სპორტსმენებსა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობაზე 10 წლის განმავლობაში გასაცემი ყოველწლიური ვაუჩერის შესაბამისი სააბონემენტო პაკეტის შემუშავება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.“ - პუნქტი 4.5

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში, ნაკადულის ქ. III გასასვლელში (ზეემკა) მდებარე №01.19.33.007.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება დაიყო ორ საკადასტრო ერთეულად (ს/კ: 01.19.33.008.282 და 01.19.33.008.283), საიდანაც №01.19.33.008.283 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, 2020 წლის 22 ივლისს დადებული შეთანხმების საფუძველზე, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წელს ადგილზე დათვალიერების/მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ №01.19.33.008.282 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სპორტული ობიექტი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს/ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, სააგენტოს მიერ დარღვეულად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და მყიდველს განესაზღვრა დამატებითი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. მყიდველს ასევე ეთხოვა შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა ვალდებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, 2023 წლის 14 მარტს მყიდველმა განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 21 იანვრის №000373822 საექსპერტო დასკვნა ხელშეკრულების 4.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე. აღნიშნული დასკვნა ადასტურებს მყიდველის მიერ ხელშეკრულების 4.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადებით მყიდველი ითხოვს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულების დადასტურებას და შედეგად, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №4ა-ში მდებარე (ს/კ: 01.18.05.001.037) უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ვალდებულებების რეგისტრაციის გაუქმებას. ვალდებულების შესრულების დადასტურების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მყიდველი აცხადებს მზაობას, №01.19.33.008.282 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამატებით აიღოს მუდმივი საპრივატიზებო პირობა, აღნიშნული ქონების მხოლოდ სპორტულ-კულტურული მიზნით/ფუნქციით გამოყენების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა რომ, ვინაიდან №01.19.33.008.282 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი დაკავებული აქვს შენობა-ნაგებობას, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელოვნურსაფარიანი დია კომბინირებული მოედანი (ზომით 15×30) მოწყობილი იყო №01.19.33.008.283 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესაბამის ნაწილზე. აღნიშნული ქონების (ს/კ: 01.19.33.008.283) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შემდგომ, მასზე დია საფეხბურთო მოედნის ოპერირება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ.

წარმოდგენილი პროექტით, ვალდებულების შესრულების დადასტურების საფუძველზე, №01.18.05.001.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება ხდება მყიდველის უპირობო საკუთრება, ხოლო №01.19.33.008.282 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი იტივრთება მხოლოდ სპორტულ-კულტურული მიზნით/ფუნქციით გამოყენების შესახებ მუდმივი საპრივატიზებო პირობით.

მომხრე-9 თავი შეიკავა -ნინო წულაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე